ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4237419

ნომერი: AR1635752

თარიღი : 06.10.2018

გაცემის თარიღი : 26.10.2018

გაცნობის თარიღი : 26.10.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი თოხაძე პ/ნ 01009018465
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 8 ბ. 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 06

ოქტომბერს NAR1635752 განცხადებით მომართა გიორგი თოხაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ქუჩა გამრეკელი, N37, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.025.140), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2016 წლის 17 ოქტომბრის №2892805 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 ოქტომბრიდან 2019 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 29 ივნისის №4043829 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანებაში. კერძოდ: ტექნიკურ-კონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა შემდეგი მაჩვენებლები: ავტოსადგომის ფართობი: 118.811კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი: 610.044კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 112.606 კვ.მ, მანსარდის ფართობი: 129.413კვ.მ. საერთო ფართობი: 1123.024კვ.მ. სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 131.94 კვ.მ.-ის ნაცვლად უნდა იყოს 173.308 კვ.მ. სარდაფის ფართობის ნაცვლად - დამხმარე ფართობი: 38.06 კვ.მ. საერთო ფართობი 1123.024 კვ.მ.-ის ნაცვლად - 1182.242 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 173.308 კვ.მ. დამხმარე ფართობი: 38.06 კვ.მ. საერთო ფართობი: 1182.242 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას სარდაფის ფართობი (20.21კვ.მ).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 სექტემბრის №2866124 და 2018 წლის 29 ივნისის №4043829 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.